სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #7

ქ. თბილისი 2022 წლის 29 დეკემბერი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1. მიხეილ ჩიკვილაძე 2. ნინო ფარესაშვილი 3. ლელა ბახტაძე 4. მარინა მაისურაძე 5. დავით ნებიერიძე 6. საბა გოგიბერიძე 7. მარიამ შენგელია 8. ელენე გაჩეჩილაძე 9. ლიკა წერეთელი 10. ილია თავხელიძე 11. ლია მაჭავარიანი 12. ნათელა არჩვაძე 13. ამირან ბიბილაშვილი 14. მარიამ ახალკაციშვილი 15. მაკა მურვანიძე 16. ანა ბოკერია 17. მარიამ ვარდოსანიძე 18. ვასილ ბერიძე 19. დავით შუბითიძე 20. მარინა გარიშვილი 21. მაია ივანიძე 22. ბარბარა მახარაძე 23. საბა ქვათაძე 24. თამარ ჯინჭარაძე 25. ხათუნა მაისაშვილი 26. ნათია სვანიძე 27. ალექსანდრე გაბაშვილი 28. კახა კუჭუხიძე 29. ნინო პაქსაშვილი 30. ვლადიმერ გამსახურდია 31. იზაბელა პეტრიაშვილი 32. ბარბარე მამაგეიშვილი 33. ვლადიმერ მარგველაშვილი 34. ზურაბ ჩხაიძე 35. შალვა ფარულავა 36. გიორგი პატარაია 37. ანა ფაშაევა 38. კახაბერ ლოორია 39. ელისაბედ ბჟალავა 40. თეა ქარჩავა 41. ლერი თავაძე 42. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 43. ინგა სანიკიძე 44. გიორგი არქანია 45. საბა გიორგაძე 46. ლუკა მამალაშვილი 47. ლუკა ნარმანია 48. ზურაბ გაიპარაშვილი 49. ნინო პავლიაშვილი 50. ციური სუმბაძე 51. ადა ნემსაძე 52. თეიმურაზ მაჩაიძე 53. თამილა ჩალაძე 54. გიორგი მამარდაშვილი 55. ედიშერ ფუტკარაძე 56. მარინა გურგენიშვილი 57. გვანცა გვანცელაძე 58. ნოდარ ლომიძე (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. ჯაბა სამუშია 2. ზურაბ აბაშიძე 3. ნიკოლოზ ავაზაშვილი 4. ნათელა ანანიაშვილი 5. მიხეილ ბახტაძე 6. ცისანა გავაშელი 7. ვასილ გონაშვილი 8. მარინე ზაუტაშვილი 9. მაია კოპალეიშვილი 10. ალექსანდრე კუხიანიძე 11. გია ლობჟანიძე 12. ვახტანგ მაღრაძე 13. ავთანდილ სილაგაძე 14. გოჩა ფერაძე 15. ოთარ ფურთუხია 16. ზაქარია ქიტიაშვილი 17. რამაზ ქურდაძე 18. ალექსანდრე ღონღაძე 19. თამაზ ყარალაშვილი 20. ნუგზარ შავლაყაძე 21. მორის შალიკაშვილი 22. ნინო შარაშიძე 23. თემურ შენგელია 24. მარინე ჩიტაშვილი 25.

ალექსანდრე ცისკარიძე 26. მზია წერეთელი 27. ეთერ ხარაიშვილი 28. მანანა ხაჩიძე 29. მამუკა ხუსკივაძე 30. ქეთევან ხუციშვილი (დანართი 2)

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის/სხდომის მდივნის არჩევა (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი);
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტში არსებული (დაწესებული) პრემიებისა და ჯილდოების (მათ შორის მედლების) გაცემის არსებული წესის უნიფიცირების მიზნით სამუშაო ჯგუფში წარმომადგენლობითი საბჭოს წარმომადგნელის/წარმომადგენლების განსაზღვრის შესახებ (მომხსენებელი: მამუკა მარგველაშვილი);
4. ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი 01.14.04.028.018) მდებარე უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსში არსებული 434,08 მ2 ფართისა (მასზე განთავსებული ინვენტარიანად და ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.020) მდებარე უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში არსებული 37,04 მ2 31,23+5,81) ფართის (კვების პროდუქტების მომზადების შეზღუდვით), იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
5. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) მდებარე უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ტერიტორიაზე არსებული 12.50 მ2 მიწის ფართის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
6. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N3-ში (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) მდებარე უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსში არსებული 104,99 მ2 (19,51+28,85+56,53) ფართის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
7. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N36-ში (საკადასტრო კოდი 01.14.11.016.027) მდებარე უნივერსიტეტის მე-5 სასწავლო კორპუსში არსებული 180 მ2 ფართის, იჯარის

ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

8. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N8-ში (საკადასტრო კოდი 01.14.11.011.011) მდებარე უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსში არსებული 240 (180+60) მ2 ფართის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
9. ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. N5-ში (საკადასტრო კოდი 01.15.03.028.001) მდებარე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის პირველ სართულზე არსებული 62,40 მ2 ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის საკითხი, ლიტერატურული კაფეს/კაფეს მოწყობის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);

დღის წერიგი დამტკიცდა ერთხმად;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატისა) და აკადემიური საბჭოს გაერთიანებული სხდომის მონაწილეებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის ახლადარჩეულმა რექტორმა, ბატონმა ჯაბა სამუშიამ. მან დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა სხდომის მონაწილეებს და წარმატებები უსურვა. ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე, რომ ბიუჯეტი დეფიციტურია და გამომდინარე აქედან საჭიროა ხარჯების ოპტიმიზაცია. აღნიშნა, რომ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ფაკულტეტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილების ერთიან მიდგომაზე. რექტორმა ასევე განაცხადა, რომ ჰქონდა შეხვედრა სტუდენტთა ჯგუფთან რექტორის არჩევის წესთან დაკავშირებით და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებს შესთავაზა და სთხოვა აღნიშნული საკითხის განხილვაში და დისკუსიაში აქტიურად ჩართვა.

რექტორის მიმართვის შემდეგ წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განსახილველად.

1.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ თსუ სენატის სამდივნოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, ბატონი გიორგი ოქიტაშვილი.

თსუ წარმომამდგენლობითი საბჭოს სპიკერმა სენატის სამდივნოს ყოფილ უფროსს გიორგი ჩაკვეტაძეს გადაუხადა მადლობა გაწეული საქმიანობისათვის. აღნიშნულის შემდგომ, მომხსენებელმა მიმართა თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს, რათა წარმომადგენლობითი საბჭოს მდივნის/სხდომის მდივნის პოზიციაზე მხარი დაეჭირათ წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის გიორგი ოქტიტაშვილის კანდიდატურისთვის. აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმს აწარმოებს და ახორციელებს ტექნიკური ხასიათის სამუშაოს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 58

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მდივნად/სხდომის მდივნად არჩეულ იქნეს გიორგი ოქიტაშვილი.

2. უნივერსიტეტის კანცლერმა ლაშა საღინაძემ, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოადგინა თსუ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი. მომხსენებელმა წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს წევრებს გააცნო დეტალური ინფორმაცია პერსონალის რიცხოვნობის, პერსონალის შეფარდების, უნივერსიტეტში განხორციელებული სასწავლო კურსების, სახელფასო ანაზღაურების, სტუდენტთა რაოდენობის, კომუნალური დანახარჯების შესახებ და სხვა...
აღნიშნა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2023 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლების, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, ინოვაციურ, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ინფრასტრუქტურული პროექტების, განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, სახელმძღვანელოების თარგმნის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
ხაზი გაესვა, რომ 2023 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები

შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 98 807 689 ლარით. რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს (ხარჯებს) იგი გაწერილია პროგრამების: ,,უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება''; ,,ფაკულტეტები''; ,,ენების შემსწავლელი ცენტრი''; ,,სტუდენტთა ხელშეწყობა''; ,,მეცნიერებაზე გამოყოფილი დაფინანსება'' ; ,,პროფესიული განათლების განვითარება''; ,,კულტურა და სპორტი''; ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება"; ,,ინფრასტრუქტურის განვითარება'', ,,განათლების ხარისხის განვითარება''მიხედვით და გასაწევი ხარჯები მთლიანობაში შეადგენს 102 096 615 ლარს. 2023 წლის ბიუჯეტში: ა) საკუთარი სახსრებით მისაღები შემოსავლები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით შეადგენს 68 722 630 ლარს, ხოლო გასაწევი ხარჯები 72 011 686 ლარს.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტი დეფიციტურია. ის გაანგარიშებულია და ბიუჯეტში გაწერილია, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სხვა სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. მონაცემები ეყრდნობა: უნივერსიტეტის წინა წლების ბიუჯეტების შესრულების ანალიზს, საბიუჯეტო წლის მოსალოდნელი შემოსავლების შედეგების, საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებულთა საორიენტაციო ზღვრულ რიცხოვნებას, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ფინანსურ დანახარჯებს და სხვა ძირითად კომპონენტებს. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ,,ფაკულტეტების'' ხარჯები დაგეგმილია 2022 წლის ბიუჯეტის იდენტურად და ის შეთანხმებულია ფაკულტეტებთან, იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ფაკულტეტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილების ერთიან მიდგომაზე. შემუშავებილი იქნება შედეგებზე და შემოსავლებზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემა ფორმულის სახით. იგეგმება სამუშაოს ჯგუფის მიერ მუშაობის დასრულება 2023 წლის იანვრის ბოლომდე, რის შემდეგაც გადამუშავებული ბიუჯეტის პროექტი წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

გრძელდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევებისათვის ხელშეწყობა, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისად 150 000 ლარი, 100 000 ლარი და 100 000 ლარი. ასევე, გრძელდება ,,სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა''-რისთვისაც გათვალისწინებულია -2 700 000 ლარი. მათ შორის ,,საუნივერსიტეტო დაფინანსება -700 000 ლარი, რითიც წარჩინებულ სტუდენტებს უფინანსდება სწავლა, ,,სტუდენტთა პროექტებისა და ინოვაციების ხელშეწყობა'' -850 000 ლარი; ,,სტუდენტური სტიპენდიები'' -1 257 000 ლარი. გარდა ამისა, ფაკულტეტების ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებში, სხვადასხვა კონფერენციებში, იმიტირებულ პროცესებში მონაწილეობის, პრაქტიკების, ექსპედიციების დაფინანსების ხარჯები, რაც ჯამურად შეადგენს 727 610 ლარს. გარდა ამისა, ბიუჯეტში გათვალიწინებულია განათლების ხარისხის განვითარების პროგრამა, რომელიც განათლების ხარისხის განვითარებასთან ერთად მოიცავს სახელმძღვანელოების თარგმნის ხელშეწყობასაც. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიუჯეტში გათვალისწინებულია 320 000 ლარი. 2023 წელს დასრულდება პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ახალი თანამედროვე ტიპის შენობის პროექტირება და დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. ასევე, 2023 წელს დაგეგმილია ახალი სტუდენტური

საცხოვრებლის საპროექტო სამუშაოების დასრულება, სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი მზად არის, დაიწყოს მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი შენობაშისტანდარტების საცხოვრებლის მოწყობის სამუშაოები. 2023 წელს დასრულდება თსუ საგამოცდო ცენტრის სივრცეების სარემონტო სამუშაოები.
საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას მოხმარდება 1 934 541 ლარი. მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 870 000 ლარი, დაგეგმილია უნივერსიტეტის 11 კორპუსში თანამედროვე სტანდარტების ახალი Wi – Fi ის ქსელის მოწყობა, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით კომპიუტერული ტექნიკის (კომპიუტერები, ლეპტოპები, პროექტორები, ჭკვიანი დაფები) შესაძენად 2022 წლის ბოლოს გამოიყო დაფინანსება 1 064 541 ლარი და აღნიშნულის შესყიდვა განხორციელდება 2023 წელს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის 2023 წელს გათვალისწინებულია 586 890 ლარი.

ბ) უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია ხარჯების დაფინანსება 18 666 929 ლარის ფარგლებში. აღნიშნული თანხიდან სამეცნიერო კლევით ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკას (მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე რომელიც წარდგენილია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის სახით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში) მოხმარდება 14 057 738 ლარი, რომელიც 2023 წლის იანვრის თვეში დაზუსტდება ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის'' დამტკიცების შემდეგ. ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს'' -1 167 000 ლარი. ,,მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის რეგიონალური კვლევით ცენტრს (ჰაბი)'' – 114 000 ლარი, ქართულ - ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევით და ააიპ სასწავლო-სამეცნიერო კვლევით ცენტრს 256 150 ლარი, სხვადასხვა პროექტების დაფინანსება 507 500 ლარი, ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას 1 500 000 ლარი.
გ) შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების საპროგნოზო მაჩვენებელი 20223 წლის ბიუჯეტში შეადგენს შესაბამისად 8 122 000 ლარს და 3 296 000 ლარს.

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ირგვლივ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს, ასევე აკადემიური საბჭოს წევრები, უნივესიტეტის რექტორი, კანცლერი, ზუსტ და საბუნესმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, რომელმაც ითხოვა წარმოდგენილ ბიუჯეტში ტექნიკური უზუსტობის გასწორება ზუსტ და საბუნებისმეყტველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტის ნაწილში, რაც გაზიარებული იქნა მომხსენებლის მიერ. გამომსვლელები აღნიშნავდნენ ფაკულტეტებს შორის სახელფასო პოლიტიკის თანასწორობისა და სამართლიანობის მნიშვნელობაზე. როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ ჯავახიშვილმა აღნიშნა, უკვე რამდენიმე წელია, რაც თსუ-ის ცალკეული ფაკულტეტების

პროფესურას განსხვავებული ოდენობის ხელფასი ეძლევა. მისი აზრით, ეს უდიდესი უსამართლობაა, რომელიც უახლოეს მომავალში, აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას და იმედი გამოთქვა, რომ საკითხი გადაიჭრება სამართლიანად და თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი ხათუნა მაისაშვილი დაინტერესდა იმ ფორმულით და მიდგომით, რითაც მომავალში იგეგმება აღნიშნული საკითხის დარეგულირება, აკადემიური საბჭოს წევრის - მანანა ხაჩიძის მიერ დაისვა საკითხი არალიცენზირებულ პროგრამებთან დაკავშირებით და სხვა.

აღინიშნა, რომ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ფაკულტეტების მიხედვით ბიუჯეტის განაწილების ერთიან მიდგომაზე. შემუშავებილი იქნება შედეგებზე და შემოსავლებზე დაფუძნებული დაფინანსების სისტემა ფორმულის სახით. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, იგეგმება სამუშაოს ჯგუფის მიერ მუშაობის დასრულება 2023 წლის იანვრის ბოლომდე, რის შემდეგაც გადამუშავებული ბიუჯეტის პროექტი წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 58

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი თანდართული სახით (დანართი 3)

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერმა ვლადიმერ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ რექტორის ინიციატივით დაგეგმილია უნივერისტეტში არსებული (დაწესებული) პრემიებისა და ჯილდოების (მათ შორის მედლები) გაცემის არსებული წესების უნიფიცირება, რისთვისაც რექტორის ინიციატივით მიზანშეწონილად ჩაითვალა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტების აკადემიური პერსონალისა და აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წარმომადგენლებისაგან. შესაბამისად, შემოთავაზებულია წარმომადგენლობითი საბჭო წარმოდგენილი იყოს 2 (ორი) წარმომადგენლით აღნიშნულ ჯგუფში.

მსჯელობის შედეგად წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დასახელდა შემდეგი კანდიდატურები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი -

ნიკოლოზ ჯავახიშვილი (აკადემიური პერსონალი) და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელი - ალექსანდრე გაბაშვილი (სტუდენტი);

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 58

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული (დაწესებული) პრემიებისა და ჯილდოების (მათ შორის მედლების) გაცემის არსებული წესის უნიფიცირების მიზნით სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი იქნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები - ნიკოლოზ ჯავახიშვილი და ალექსანდრე გაბაშვილი;

4. საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია სხვადასხვა ობიექტების იჯარით გაცემის საკითხი კვების ობიქტების მოწყობის მიზნით.
ასევე, კანცლერმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია მსჯელობა იჯარით გასაცემი ობიექტების ვადების კორექტირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე გაიმართა დისკუსია და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით მიზანშეწონლად ჩაითვალა საიჯარო ვადის შემცირება 5 (ხუთი) წლიდან 3 (სამი) წლამდე, გარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-8 საკითხისა (ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N8-ში მდებარე უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსში არსებული 240 (180+60) მ2 ფართის, იჯარის ფორმით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით), სადაც იჯარის ვადა კანცლერის რეკომენდაციითა და წარმომადგენლობითი საბჭოს თანხმობით დარჩა უცვლელი - 5 (ხუთი) წელი. ამასთან ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ასევე სენატის წევრებმა სრულად გაიზიარეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენლის ხათუნა მაისაშვილის წინადადება, მე-6 სასწავლო კორპუსში სარემონტო სამუშაობის წარმოებისას საჭიროების შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.
საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ასევე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა კახაბერ ლორიამ, გიორგი არქანიამ, ლერი თავაძემ. დაისვა საკითხი, რამდენად შესაძლებელი და რეალურია უნივერსიტეტმა თავისი ძალებითა და რესურსებით ამუშავოს კვების ობიექტები, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ კონკურსი

უშედეგოდ სრულდება და სხვა. როგორც უნივერსიტეტის რექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრს დადგმილი აქვს 2023 წლისთვის ახალი პროფესიული პროგრამის -მზარულების მომზადების პროგრამის განხორციელება, რაც წინგადადგული ნაბიჯი იქნება და მოგვცემს გარკვეულ შედეგებს. ასევე აღნიშნა, რომ იგეგმება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს კვების ობიექტების რეგულარულ შემოწმებსა და კვების უსაფრთხოების მაქსიმალურ კონტროლს. ამასთან, უნივერსიტეტის რექტორმა თხოვნით მიმართა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრ სტუდენტებს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა თსუ ადმინისტრაციასთან ერთად როგორც ტარიფების დადგენის პროცესში, ასევე საკვები პროდუქციის ნუსხის შემუშავებაში.

დისკუსიის დასრულების შემდგომ, საკითხის მომხსენებელმა, უნივერსიტეტის კანცლერმა ლაშა საღინაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე დასვა, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი 01.14.04.028.018) მდებარე უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსში არსებული 434,08 მ2 ფართისა (მასზე განთავსებული ინვენტარიანად და ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.020) მდებარე უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში არსებული 37,04 მ2 31,23+5,81) ფართის (კვების პროდუქტების მომზადების შეზღუდვით), იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. აღინიშნა, რომ დამატებით პირობად, სხვა საიჯარო სტანდარტულ პირობებთან ერთად, განისაზღვრება სარეალიზაციო პროდუქციის ნაწილის უნივერისტეტის მიერ განსაზღვრის და ამ ნაწილზე ფასისა და მოცულობის კონტროლის მექანიზმის უნივერისტეტის მიერ დაწესების შესაძლებლობა, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შერჩეული და წარმოდგენილი, სტუდენტებში ყველაზე მოთხოვნადი საკვები პროდუქციის ნუსხის გათვალისწინებით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 58**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N2-ში (საკადასტრო კოდი 01.14.04.028.018) მდებარე უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსში არსებული 434,08 მ2 ფართისა (მასზე განთავსებული ინვენტარიანად და ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩაზე (საკადასტრო კოდი 01.14.06.006.020) მდებარე უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში არსებული 37,04 მ2 31,23+5,81) ფართის (კვების პროდუქტების მომზადების შეზღუდვით), იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის

ვადით, ერთ ლოტად გაცემაზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. (დანართი 4)

5. საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) მდებარე უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ტერიტორიაზე არსებული 12.50 მ2 მიწის ფართის, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად (რომლის დიზაინი უნდა შეთანხმდეს უნივერსიტეტთან) კვების ობიექტის (საკვები პროდუქტის კატეგორია უნდა შეთანხმდეს უნივერსიტეტთან) მოწყობის მიზნით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 58**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1-ში (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) მდებარე უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ტერიტორიაზე არსებული 12.50 მ2 მიწის ფართის, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემაზე, მსუბუქი კონსტრუქციის განსათავსებლად, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. (დანართი 5);

6. საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N3-ში (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) მდებარე უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსში არსებული 104,99 მ2 (19,51+28,85+56,53) ფართის, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. აღინიშნა, რომ დამატებით პირობად, სხვა საიჯარო სტანდარტულ პირობებთან ერთად, განისაზღვრება სარეალიზაციო პროდუქციის ნაწილის უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრის და ამ ნაწილზე ფასისა და მოცულობის კონტროლის მექანიზმის უნივერსიტეტის მიერ დაწესების შესაძლებლობა, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შერჩეული და წარმოდგენილი, სტუდენტებში ყველაზე მოთხოვნადი საკვები პროდუქციის ნუსხის გათვალისწინებით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 58**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N3-ში (საკადასტრო კოდი 01.14.14.010.030) მდებარე უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსში არსებული 104,99 მ2 (19,51+28,85+56,53) ფართის, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემაზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. (დანართი 6);

7. საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N36-ში (საკადასტრო კოდი 01.14.11.016.027) მდებარე უნივერსიტეტის მე-5 სასწავლო კორპუსში არსებული 180 მ2 ფართის, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. აღინიშნა, რომ დამატებით პირობად, სხვა საიჯარო სტანდარტულ პირობებთან ერთად, განსაზღვრულია სარეალიზაციო პროდუქციის ნაწილის უნივერისტეტის მიერ განსაზღვრის და ამ ნაწილზე ფასისა და მოცულობის კონტროლის მექანიზმის უნივერისტეტის მიერ დაწესების შესაძლებლობა, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შერჩეული და წარმოდგენილი, სტუდენტებში ყველაზე მოთხოვნადი საკვები პროდუქციის ნუსხის გათვალისწინებით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 58**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N36-ში (საკადასტრო კოდი 01.14.11.016.027) მდებარე უნივერსიტეტის მე-5 სასწავლო კორპუსში არსებული 180 მ2 ფართის, იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემაზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. (დანართი 7);

8. საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N8-ში (საკადასტრო კოდი 01.14.11.011.011) მდებარე უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსში არსებული 240 (180+60) მ2 ფართის, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გაცემის საკითხი, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. აღინიშნა, რომ დამატებით პირობად, სხვა საიჯარო

სტანდარტულ პირობებთან ერთად, განსაზღვრულია სარეალიზაციო პროდუქციის ნაწილის უნივერისტეტის მიერ განსაზღვრის და ამ ნაწილზე ფასისა და მოცულობის კონტროლის მექანიზმის უნივერისტეტის მიერ დაწესების შესაძლებლობა, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის მიერ შერჩეული და წარმოდგენილი, სტუდენტებში ყველაზე მოთხოვნადი საკვები პროდუქციის ნუსხის გათვალისწინებით. ამასთან, სარემონტო სამუშაობის წარმოებისას, გათვალისწინებული იქნება ექსპერტიზის ჩატარების პირობა საჭიროების შემთხვევაში.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 58**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N8-ში (საკადასტრო კოდი 01.14.11.011.011) მდებარე უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსში არსებული 240 (180+60) მ2 ფართის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემაზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით, წარმოდგენილი პირობებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით. (დანართი 8);

9.საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. N5-ში (საკადასტრო კოდი 01.15.03.028.001) მდებარე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის პირველ სართულზე არსებული 62,40 მ2 ფართის იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემის საკითხი, ლიტერატურული კაფეს/კაფეს მოწყობის მიზნით.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე: 58**

**წინააღმდეგი: 0**

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, მერაბ კოსტავას ქ. N5-ში (საკადასტრო კოდი 01.15.03.028.001) მდებარე შოთა რუსთაველის ქართული

ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის პირველ სართულზე არსებული 62,40 მ2 ფართის იჯარის ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გაცემაზე, კანონდებლობით დადგენილი წესით, ლიტერატურული კაფეს/კაფეს მოწყობის მიზნით (დანართი 9);

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი — ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი — გიორგი ოქიტაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №7

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2022 წლის 29 დეკემბერი #7 სხდომა)

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ნაზირა კაკულია -
2. მიხეილ ჩიკვილაძე -
3. ნინო ფარესაშვილი -
4. ლელა ბახტაძე -
5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე -
2. საბა გოგიბერიძე -
3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე -

6. ლიკა წერეთელი-

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით შუბითიძე-

## იურიდიული ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

**სტუდენტები:**

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

**სტუდენტები:**

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

**სტუდენტები:**

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

## მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-
2. თინა ქიტუაშვილი-
3. ზურაბ ჩხაიძე-
4. შალვა ფარულავა-
5. გიორგი პატარაია-

სტუდენტები:

1. ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-
2. ანა ფაშაევა-

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. საბა ლოლაძე-

5. ლუკა მამალაშვილი-

6. ლუკა ნარმანია-

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- ციური სუმბაძე-

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

- ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

ეთერ კაკულია-

**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

გვანცა გვანცელაძე- გ-გვა

**მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი**

ნოდარ ლომიძე- ნ-ლომ

**ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი**

თეა შავაძე-

**ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი**

ალექსი პაჭკორია-

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია (2022 წლის 29 დეკემბერი, #7 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გაგნიძე ნონა
8. გავაშელი ცისანა
9. გონაშვილი ვასილ
10. ზაუტაშვილი მარინე
11. კოპალეიშვილი მაია
12. კუხიანიძე ალექსანდრე
13. ლობჟანიძე გია
14. ლომიძე გაგა
15. მაღრაძე ვახტანგ

16. მინდაძე ნინო

17. სადრაძე ნინო

18. სილაგაძე ავთანდილ

19. ფერაძე გოჩა

20. ფურთუხია ომარ

21. ქიტიაშვილი ზაქარია

22. ქურდაძე რამაზ

23. ღონღაძე ალექსანდრე

24. ყარალაშვილი თამაზ

25. შავლაყაძე ნუგზარ

26. შალიკაშვილი მორის

27. შანიძე რევაზი

28. შარაშიძე ნინო

29. შენგელია თემური

30. ჩიტაშვილი მარინე

31. ცაგარელი ზურაბ

32. ცისკარიძე ალექსანდრე

33. წერეთელი მარი

34. წერეთელი მზია

35. ხარაიშვილი ეთერ

36. ხაჩიძე მანანა

37. ხუსკივაძე მამუკა

38. ხუციშვილი ქეთევან

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 33992/10 23/12/2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

დასამტკიცებლად გიგზავნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს.

დანართი 3 ფაილი.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

# გადასახდელები

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2022 წლის ბიუჯეტი | | | | 2023 წლის ბიუჯეტი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2022 წელი (გეგმა) | მ.შ. საკუთარი სახსრები (გრანტების გარეშე) | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | მ.შ. გრანტები | 2023 გეგმა | მ.შ. საკუთარი სახსრები (გრანტების გარეშე) | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | მ.შ. გრანტები |
| 01 00 | **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | 100,054,928 | 71,743,929 | 17,676,466 | 10,634,533 | 102,178,740 | 72,093,811 | 18,666,929 | 11,418,000 |
| | **ხარჯები** | 90,063,714 | 68,790,515 | 12,673,666 | 8,599,533 | 91,881,199 | 67,223,811 | 15,413,888 | 9,243,500 |
| | შრომის ანაზღაურება | 41,808,190 | 32,827,980 | 8,980,210 | 0 | 42,929,723 | 32,766,195 | 10,163,528 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 35,785,043 | 30,929,977 | 2,040,533 | 2,814,533 | 35,909,646 | 29,420,881 | 3,516,765 | 2,972,000 |
| | სუბსიდიები | 1,700,000 | 0 | 450,000 | 1,250,000 | 1,946,125 | 82,125 | 464,000 | 1,400,000 |
| | გრანტები | 1,290,000 | 630,000 | 0 | 660,000 | 1,041,500 | 280,000 | 0 | 761,500 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 162,000 | 162,000 | 0 | 0 | 189,160 | 160,000 | 29,160 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 9,318,481 | 4,240,558 | 1,202,923 | 3,875,000 | 9,865,045 | 4,514,610 | 1,240,435 | 4,110,000 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 9,991,214 | 2,953,414 | 5,002,800 | 2,035,000 | 10,297,541 | 4,870,000 | 3,253,041 | 2,174,500 |
| 01 01 | **უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების ადმინისტრირება** | 21,141,250 | 21,141,250 | 0 | 0 | 20,372,859 | 20,372,859 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 21,141,250 | 21,141,250 | 0 | 0 | 20,372,859 | 20,372,859 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 6,065,000 | 6,065,000 | 0 | 0 | 6,065,000 | 6,065,000 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 12,194,602 | 12,194,602 | 0 | 0 | 11,520,859 | 11,520,859 | 0 | 0 |
| | გრანტები | 410,000 | 410,000 | 0 | 0 | 60,000 | 60,000 | 0 | 0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 162,000 | 162,000 | 0 | 0 | 160,000 | 160,000 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 2,309,648 | 2,309,648 | 0 | 0 | 2,567,000 | 2,567,000 | 0 | 0 |
| 01 02 | **ფაკულტეტები** | 37,631,735 | 37,631,735 | 0 | 0 | 37,643,975 | 37,643,975 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 36,980,415 | 36,980,415 | 0 | 0 | 37,283,975 | 37,283,975 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 24,112,580 | 24,112,580 | 0 | 0 | 24,090,795 | 24,090,795 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 12,040,225 | 12,040,225 | 0 | 0 | 12,263,445 | 12,263,445 | 0 | 0 |
| | სუბსიდიები | 0 | 0 | 0 | 0 | 82,125 | 82,125 | 0 | 0 |
| | გრანტები | 120,000 | 120,000 | 0 | 0 | 120,000 | 120,000 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 707,610 | 707,610 | 0 | 0 | 727,610 | 727,610 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 651,320 | 651,320 | 0 | 0 | 360,000 | 360,000 | 0 | 0 |
| 01 02 01 | **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი** | 7,734,785 | 7,734,785 | 0 | 0 | 7,734,785 | 7,734,785 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 7,709,785 | 7,709,785 | 0 | 0 | 7,709,785 | 7,709,785 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 4,596,600 | 4,596,600 | 0 | 0 | 4,596,600 | 4,596,600 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 3,037,725 | 3,037,725 | 0 | 0 | 3,037,725 | 3,037,725 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 75,460 | 75,460 | 0 | 0 | 75,460 | 75,460 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 25,000 | 25,000 | 0 | 0 | 25,000 | 25,000 | 0 | 0 |
| 01 02 02 | **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი** | 6,524,190 | 6,524,190 | 0 | 0 | 6,524,190 | 6,524,190 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 6,232,870 | 6,232,870 | 0 | 0 | 6,524,190 | 6,524,190 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 5,179,200 | 5,179,200 | 0 | 0 | 5,177,475 | 5,177,475 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 944,300 | 944,300 | 0 | 0 | 1,135,220 | 1,135,220 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 109,370 | 109,370 | 0 | 0 | 129,370 | 129,370 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 291,320 | 291,320 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 01 02 03 | **იურიდიული ფაკულტეტი** | 4,801,500 | 4,801,500 | 0 | 0 | 4,801,500 | 4,801,500 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 4,766,500 | 4,766,500 | 0 | 0 | 4,766,500 | 4,766,500 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,820,040 | 2,820,040 | 0 | 0 | 2,820,040 | 2,820,040 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 1,740,840 | 1,740,840 | 0 | 0 | 1,740,840 | 1,740,840 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 205,620 | 205,620 | 0 | 0 | 205,620 | 205,620 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 35,000 | 35,000 | 0 | 0 | 35,000 | 35,000 | 0 | 0 |
| 01 02 04 | **მედიცინის ფაკულტეტი** | 6,221,800 | 6,221,800 | 0 | 0 | 6,221,800 | 6,221,800 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 5,951,800 | 5,951,800 | 0 | 0 | 5,951,800 | 5,951,800 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,438,860 | 2,438,860 | 0 | 0 | 2,438,860 | 2,438,860 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 3,259,940 | 3,259,940 | 0 | 0 | 3,259,940 | 3,259,940 | 0 | 0 |
| | გრანტები | 120,000 | 120,000 | 0 | 0 | 120,000 | 120,000 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 133,000 | 133,000 | 0 | 0 | 133,000 | 133,000 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 270,000 | 270,000 | 0 | 0 | 270,000 | 270,000 | 0 | 0 |
| 01 02 05 | **სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი** | 3,184,160 | 3,184,160 | 0 | 0 | 3,221,000 | 3,221,000 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 3,174,160 | 3,174,160 | 0 | 0 | 3,211,000 | 3,211,000 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,430,600 | 2,430,600 | 0 | 0 | 2,467,440 | 2,467,440 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 671,000 | 671,000 | 0 | 0 | 671,000 | 671,000 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 72,560 | 72,560 | 0 | 0 | 72,560 | 72,560 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 10,000 | 10,000 | 0 | 0 | 10,000 | 10,000 | 0 | 0 |
| 01 02 06 | **ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი** | 2,099,920 | 2,099,920 | 0 | 0 | 2,075,320 | 2,075,320 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 2,094,920 | 2,094,920 | 0 | 0 | 2,070,320 | 2,070,320 | 0 | 0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 1,402,320 | 1,402,320 | 0 | 0 | 1,345,420 | 1,345,420 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 670,000 | 670,000 | 0 | 0 | 702,300 | 702,300 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 22,600 | 22,600 | 0 | 0 | 22,600 | 22,600 | 0 | 0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,000 | 5,000 | 0 | 0 | 5,000 | 5,000 | 0 | 0 |
| 01 02 07 | **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი** | 7,065,380 | 7,065,380 | 0 | 0 | 7,065,380 | 7,065,380 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 7,050,380 | 7,050,380 | 0 | 0 | 7,050,380 | 7,050,380 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 5,244,960 | 5,244,960 | 0 | 0 | 5,244,960 | 5,244,960 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 1,716,420 | 1,716,420 | 0 | 0 | 1,716,420 | 1,716,420 | 0 | 0 |
| | სხვა ხარჯები | 89,000 | 89,000 | 0 | 0 | 89,000 | 89,000 | 0 | 0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | 15,000 | 15,000 | 0 | 0 | 15,000 | 15,000 | 0 | 0 |
| 01 03 | **ენების შემსწავლელი ცენტრი** | 2,527,200 | 2,527,200 | 0 | 0 | 2,527,200 | 2,527,200 | 0 | 0 |
| | **ხარჯები** | 2,527,200 | 2,527,200 | 0 | 0 | 2,527,200 | 2,527,200 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,995,200 | 1,995,200 | 0 | 0 | 1,995,200 | 1,995,200 | 0 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 532,000 | 532,000 | 0 | 0 | 532,000 | 532,000 | 0 | 0 |
| 01 04 | **სტუდენტთა ხელშეწყობა** | 2,748,800 | 1,640,000 | 1,108,800 | 0 | 2,807,000 | 1,640,000 | 1,167,000 | 0 |
| | **ხარჯები** | 2,688,800 | 1,580,000 | 1,108,800 | 0 | 2,747,000 | 1,580,000 | 1,167,000 | 0 |
| | საქონელი და მომსახურება | 390,000 | 390,000 | 0 | 0 | 390,000 | 390,000 | 0 | 0 |
